ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

„იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“ კომისიის

სხდომის ოქმი N3

ქ. ლანჩხუთი

25.03.2026 წელი
12:00 საათი

სხდომას უძღვებოდა: „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“ კომისიის თავმჯდომარე, **გიორგი ხელაძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ია მოქია, დარეჯან ბურჭულაძე, ნინო მშვიდობაძე, კარლო წილოსანი, თენგიზ ურუშაძე, მაია ლომთაძე, ივანე ებრალიძე და ირაკლი ცინცაძე.

არ ესწრებოდნენ: კარლო წილოსანი და გოჩა ჯანაშია.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი **ვარდენ კვაჭაძე**. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (აპარატის უფროსი) **ნინო მიმიგური**, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) **ნანა ბზეკალავა,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს ხელმძღვანელი) **ნიკოლოზ კოზანაშვილი,** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში: **ლაშა სარჯველაძე** და საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ია ბარამიძე.**

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.„ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე; ვარდენ კვაჭაძე

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №38 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (აპარატის უფროსი) 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: ნინო ძიძიგური/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე/

5. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ**. მან განმარტა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია შემოიღოს ამ კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის სახით ან/და ამ ერთეულის ტერიტორიაზე ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეების მიხედვით, ამავე კოდექსით დადგენილი ზღვრული განაკვეთის ფარგლებში. ამავე კოდექსის 204-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად მიწაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 1 აპრილისათვის მოქმედი განაკვეთებით ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საკრებულომ ყოველწლიურად განსაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის განაკვეთი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადდა შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი. ამასთანავე, ამავე დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ადგილობრივი

(ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 27 მარტის N10 დადგენილება.

კომისიის წევრებმა ასევე ზოგადად მოისმინეს ინფორმაცია ქალაქის ტერიტორიაზე დაგეგმილი პარკირების საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

მომხრე 9; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გიორგი ხელაძემ, მან განმარტა, რომ პროექტი მომზადებულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მ/ წლის 6 თებერვლის GOV 5 26 00003729 რეკომენდაციის საფუძველზე და მასში გამოსწორებულია რეკომენდაციაში მითითებული ხარვეზი, კერძოდ დაკორექტირდა მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის 9 ხელმძღვანელის თანამდებობრივი სარგო.

კომისიის წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

მომხრე 9; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (აპარატის უფროსი) 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში წარმოადგინა აპარატის უფროსმა **ნინო ძიძიგურმა.** აღნიშნა, რომ საკრებულოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით შექმნილია საკრებულოს აპარატი, რომლის ფუნქციები და მუშაობის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტითა და საკრებულოს აპარატის დებულებით. საკრებულოს სხდომის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფის მიზნით საკრებულოს აპარატი უზრუნველყოფს:

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის და სხდომაზე განსახილველი საკითხების პროექტების და სხვა საჭირო ინფორმაციის მომზადებას, გამრავლებას, გამოქვეყნებას და საკრებულოს წევრებისათვის მათ მიწოდებას.

ადგენს მოწვეულ პირთა სიას და უზრუნველყოფს მათ გაფრთხილებას.

ახდენს საკრებულოს წევრთა რეგისტრაციას.

ეხმარება საკრებულოს სხდომის თავმჯდომარეს სხდომის წაყვანის პროცესში, სხდომაზე წესრიგის დაცვასა და სხდომის ტექნიკურ უზრუნველყოფაში.

ასევე უზრუნველყოფს საკრებულოს თავმჯდომარის,საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, თავმჯდომარის მოადგილეების, საკრებულოს წევრების,კომისიების, ფრაქციების საქმიანობის ორგანიზაციულ, იურიდიულ, საინფორმაციო და მატერიალურ-ტექნიკურ მომსახურებას.

უზრუნველყოფს ასევე რეგლამენტის 107,108 და 110 მუხლებით დადგენილი წესით საკრებულოს სხდომის ოქმების შედგენას,საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებების გაფორმებას, გამოქვეყნებას და დაგზავნას.

საკრებულოს აპარატში ძირითადად ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია კანონის შესაბამისად.

2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკრებულოს მიერ მიღებულია, კერძოდ:

ბრძანება - 213

დადგენილება - 28

განკარგულება - 67

ავტომანქანების ხელშეკრულება-18

ავტომანქანების შეთანხმების აქტი-2

შრომითი ხელშეკრულება-18

ადმინიტრაციული ხელშეკრულების შეთანხმების აქტი-1

ადმინისტრაციული ხელშეკრულება-2

საკრებულოს სხდომის ოქმი-20, მათ შორის რიგგარეშე- 6.

საკრებულოს ბიუროს სხდომის ოქმი-12

კომისიები:

ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი - 11.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის ოქმი-9.

სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის ოქმი-11.

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის ოქმი-10.

იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის ოქმი - 14.

ფრაქციები:

ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" სხდომის ოქმი - 13

ფრაქცია ,,ხალხის ძალა" სხდომის ოქმი-5.

ფრაქცია ,,ხალხის ძალის" თავმჯდომარე დარეჯან ბურჭულაძე დაინტერესდა რამე პრობლემა ხომარ აქვთ მუშაობასთან დაკავშირებით საკრებულოს აპარატს, რაზედაც ნინო ძიძიგურმა უპასუხა, რომ აუცილებელად ესაჭიროებათ ახალი ფოტოაპარატი და კომპიუტერები გამართული მუშაობისათვის.

კომისიის წევრების მიერ გამოითქვა მადლიერება აპარატის მიერ შესრულებულ მუშაობაზე და დაადასტურეს, რომ ნამდვილად საჭიროა ფოტოაპარატის შეძენა, ასევე კომპიუტერებიც.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველი იქნება მუნიციპალიტეტში არსებული ღონისძიებების შესახებ ინფორმირებული იყოს აპარატი, რათა უზრუნველყონ საკრებულოს წევრების გაფრთხილება.

კომისიის წევრების მიერ ცნობად იქნა მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (აპარატის უფროსი) 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში.

მომხრე 9; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი ხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ**. მისი განმარტებით, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ დანართში „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში" შეტანილ იქნა შემდეგი სახის ცვლილებები:

1.რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ე"ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ე) „საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება".

2.მე- 10 მუხლის მე-13 და 14 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

13. „საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკრებულოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში“.

14.საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტასთან დაკავშირებული საკითხები საკრებულოს სხდომაზე განიხილება რიგგარეშედ“.

3.რეგლამენტის 47 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4. „საკრებულოს პირველი სხდომა მიმდინარეობს შემდეგი დღის წესრიგით:

ა) საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება;

ბ) დროებითი სამანდატო კომისიის არჩევა;

გ) ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის არჩევა;

დ) საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა;

ე) საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევა;

ვ) საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების არჩევა;

ზ) საკრებულოს ფრაქციების დაფუძნების ცნობად მიღება;

თ) ამ რეგლამენტის შესაბამისად საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეების არჩევა“.

4. რეგლამენტის 47 მუხლს დაემატოს მე-5 და მე-6 პუნქტები შემდეგი რედაქციით:

5. „ფრაქციების შექმნისთანავე, ახლადარჩეული საკრებულოს პირველ სხდომაზე საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს განსაზღვრავს სამანდატო დროებითი კომისია და ამტკიცებს საკრებულო.

6. საკრებულოს თავმჯდომარის არჩევამდე საკრებულოს სხდომაზე შესაძლოა მოხდეს მხოლოდ საკრებულოს ფრაქციების დაფუძნება და რეგისტრაცია. თუ საკრებულოს თავმჯდომარის ხელახალმა კენჭისყრამაც ვერ გამოავლინა გამარჯვებული, საკრებულოს სხდომა გადაიდება, არაუმეტეს ერთი კვირით.“

5. რეგლამენტის 49-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. „სამანდატო დროებითი კომისია განსაზღვრავს საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს, საკრებულოს ამცნობს საკრებულოს ფრაქციების შექმნის შესახებ.“

6. ამოღებულ იქნას რეგლამენტის 51-ე მუხლი.

7. ამოღებულ იქნას რეგლამენტის 52-ე მუხლი.

სხვადასხვა: დარეჯან ბურჭულაძემ ისაუბრა რეკრეაციული ზონის აუცილებლობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საჭიროა ქალაქის გაფართოება, ყველაფერი ერთ ადგილას რომ არ იყოს თავმოყრილი.

ასევე ქალაქის ბაღთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ვინაიდან ძველი შენობის დემონტაჟი უნდა მოხდეს, თუ იგი დაზიანებული არ არის, ხომარ აჯობებდა გაიყოს და 2 ბაღი იყოს ქალაქში.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ

საკითხთა და ეთიკის“ კომისიის თავმჯდომარე **/გიორგი ხელაძე/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის
დასკვნა №3

25.03.2026 წელი
12.00 საათი

მიმდინარე წლის 25 მარტს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.
სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1.„ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე; ვარდენ კვაჭაძე

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (აპარატის უფროსი) 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: ნინო ძიძიგური/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ შენიშვნები არ გამოთქმულა.

მომხრე 9; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №38

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე 9; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (აპარატის უფროსი) 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში ცნობად იქნა მიღებული.

მომხრე 9; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

მომხრე 9; წინააღმდეგი არც ერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“ კომისიის თავმჯდომარე /გიორგი ხელაძე/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
და ეთიკის კომისიის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი

25.03.2026 წელი
12:00 საათი

1. გიორგი ხელაძე	11:50	
2. ტატო ურუშაძე	11:50	
3. ნინო მშვიდობაძე	11:50	
4. ია მოქია	11:55	
5. დარეჯან ბურჭულაძე	11:55	
6. კარლო წილოსანი	ჯვეტყვიბა	
7. თენგიზ ურუშაძე	11:50	
8. მაია ლომთაძე	11.50	
9. ივანე ებრალიძე	11:50	
10. გოჩა ჯანაშია	ეს ეხლა ჩამოვა	
11. ირაკლი ცინცაძე	11:55	